რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

იალბუზის ქუჩა №14
თბილისი, 0144
საქართველო

ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის ნომერი: **BTC/OUT/5178/23**

31 მარტი, 2023 წ.

ქ-ნ თ. ფიცხელაურს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

საგანი: სკრინინგის განაცხადი მდ. ცხრაწყაროს მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის შესახებ, ბორჯომის მუნიციპალიტეტი

სა.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
31. 03. 2023
№ 2817

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ობიექტებამდე მისასვლელი საავტომობილო გზის აღდგენის პროექტის ფარგლებში, მილსადენის უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი გვაქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზის მიმდებარე მდ. ცხრაწყაროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტის სკრინინგის პროცედურის ფარგლებში, წარმოგიდგენთ შემდეგ დოკუმენტაციას:

- სკრინინგის ანგარიში (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ) – 42 გვერდი;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 1 (მხოლოდ ელ. ვერსია): GIS შეიპფაილები - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატებით;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 2: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 9 დეკემბრის N 2-03/19751 წერილის ასლი - თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით - 1 გვერდი;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 3: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა სამშენებლო კონტრაქტორი კომპანიის შპს „მგს საქართველოს ფილიალის" მიერ მიწის ფართობით დროებით სარგებლობაზე - წერილის ასლი - 1 გვერდი;
- სკრინინგის ანგარიშის დანართი 4: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა ნიადაგის ზედა ფენის დროებით დასაწყობებისთვის მიწის ფართობის გამოყენებაზე - წერილის ასლი - 1 გვერდი;

- სკრინინგის ანგარიშის დანართი 5: საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთებზე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)“ (ს/ნ 204992785) საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების დამდასტურებელი ამონაწერები საჯარო რეესტრიდან - 11 გვერდი;
- სკრინიგნის ანგარიშის დანართი 6: ენერგო-პრო ჯორჯიას თანხმობა საპროექტო ტერიტორიიდან 10 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანის თაობაზე - წერილის ასლი - 1 გვერდი.
- „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისადმი მიწის ნაკვეთზე ს.კ. 64.30.03.124 ოთხი ხის მოჭრის შეთანხმებაზე მიმართვის ასლი (N BTC/OUT/5175/23, დანართების გარეშე) - 2 გვერდი;
- „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)“ (ს/ნ 204992785) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 გვერდი;
- „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს)“ (ს/ნ 204992785) დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N 211130218) – 9 გვერდი.

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო და შეუფერხებელი ოპერირების უზრუნველყოფის მიზნით, მოგმართავთ თხოვნით შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რუსუდან მეძმარიაშვილი,
დირექტორის მინდობილი პირი

დანართი:

- ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია - 1 CD